ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7702158

ნომერი: AR11116609

თარიღი : 11.11.2025

გაცემის თარიღი : 13.11.2025

გაცნობის თარიღი : 14.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ხომლის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ იმნაიშვილი პ/ნ 61001021318
- საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი VIII კვ. კორ. 8 ბ. 20

ორგანიზაცია:

- შპს "პილარ ჯგუფი-ნუცუბიძე" კოდი: 406294825

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 11 ნოემბერს №AR11116609 განცხადებით მომართა თენგიზ იმნაიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანებით, №01.14.16.015.479 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში თითოეული შენობა-ნაგებობისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის დაზუსტებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და თითოეული შენობა-ნაგებობისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირება შესაძლებელია. საგულისხმოა, რომ აღნიშნული არ გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთის დაყოფის შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7337880 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:

მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლი:

- მიწის ნაკვეთის ფართობი(კვ.მ) - 3176.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ) – 7214.8
- საერთო ფართობი (კვ.მ) – 7764.8
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ) - 4677.5
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ) - 1564.4
- კიბის უჯრედი და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) – 647.1
- დამხმარე ფართობი (კვ.მ) – 26.9
- ავტოსადგომის ფართობი(კვ.მ) – 848.9
- სამშენებლო მოცულობა(კუბ.მ) – 19383.0
- ნიშნულს ზემოთ – 18570.0
- ნიშნულს ქვემოთ – 813.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ) -23.98
- ნიშნულის ზევით (მ) - 22.78
- ნიშნულის ქვევით (მ) - 1.2
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული
- კოეფიციენტში): 1174.6
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 6136.8

საოფისე შენობა-ნაგებობა:

- მიწის ნაკვეთის ფართობი(კვ.მ) - 3176.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ)– 918.1
- საერთო ფართობი (კვ.მ) – 869.4
- საოფისე ფართობი (კვ.მ) – 309.4
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ) – 73.1
- კიბის უჯრედი და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) – 65.2
- დამხმარე ფართობი (კვ.მ) - 66.5
- ავტოსადგომის ფართობი(კვ.მ) – 355.2
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ.) – 4778.0
- ნიშნულს ზემოთ – 4441.0
- ნიშნულს ქვემოთ – 337.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ) - 10.5
- ნიშნულის ზევით (მ) - 7.5
- ნიშნულის ქვევით (მ) – 3.0
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული
- კოეფიციენტში): 307.1
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 363.6

- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობები (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) ჯამურად: 1174.6+307.1=1481.7/3176.0=0.5

- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობები ჯამურად (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 6136.8+363.6=6500.4/3176.0=2.0

- კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 1332.8/3176.0=0.4

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ოქტომბრის №7260305 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.